ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2773321

ნომერი: AR1428049

თარიღი : 30.07.2016

გაცემის თარიღი : 11.08.2016

გაცნობის თარიღი : 11.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ღოღობერიძე , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო ჯვარშეიშვილი პ/ნ 60001017042
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მიხეილ ბურძგლას ქუჩა, N 74-74ა-74ბ, ბინა 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული #1/1, 6/1 და 9/1 შენობების ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, არსებული ღიობების ახლით შეცვლის, გისოსების მოწყობის, სახურავის საფარის შეცვლის, ახალი ღიობების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, ღოღობერიძის ქ. #67–ში, შპს "ვუდმასტერი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული #1/1, 6/1 და 9/1 შენობების ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, არსებული ღიობების ახლით შეცვლის, გისოსების მოწყობის, სახურავის საფარის შეცვლის, ახალი ღიობების მოწყობის) განხორციელებას. ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.18.13.034.033; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო შენობების მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისი, სექტორი–კრწანისი, ღოღობერიძის ქ. #67–ში, შპს "ვუდმასტერი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული #1/1, 6/1 და 9/1 შენობების ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შელესვა-შეღებვის, არსებული ღიობების ახლით შეცვლის, გისოსების მოწყობის, სახურავის საფარის შეცვლის, ახალი ღიობების მოწყობის) განხორციელების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.